

ხელშეკრულება / Contract N 60-7-123-44 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ / on State Procurement ქ. თბილისი/Tbilisi 6.02.2023	
მუხლი 1. მხარეები	Article 1. Parties
<p>წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ხელშეკრულება“) დადებულია ერთი მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-სა, წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში, დირექტორთა საბჭოს წევრის, გიორგი გელაშვილის (მინდობილობა N221356227) სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ “Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey” (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი კომერციული გაყიდვების სპეციალისტის მერვე ერენსეს ჩეთინის და ტექნიკური გაყიდვების მენეჯერის მეთე თაშფინარის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები“, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.</p>	<p>The present contract (hereinafter referred to as the “Contract”) hereof is made by and between JSC „Georgian State Electrosystem“, represented by its Director in the field of procurement and logistics, Member of the Director Board Giorgi Gelashvili (power of attorney N221356227) (hereinafter referred to as the „Purchaser”) on one hand, and „Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“ represented by Merve Erenses Çetin - Commercial Sales Specialist and Gozde Adalet Topuz - Technical Sales Manager (hereinafter referred to as the „Supplier“) on the other hand, acting on the basis of the charter of the company and in accordance with the applicable legislation.</p>
მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი	Article 2. Subject to the Contract
<p>2.1. „მიმწოდებელი“ ჰყიდის ხოლო „შემსყიდველი“ ყიდულობს CAPE (CAPE@PSS)-ის ლიცენზიებს (CPV-48200000), შემდგომში წოდებული როგორც „საქონელი“ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართი N1-ის (ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია) შესაბამისად;</p>	<p>2.1. The Supplier sells and the Purchaser buys CAPE (CAPE@PSS) licenses (CPV-48200000), hereinafter referred to as the “Goods”, in complete accordance with the contract hereof and its Annex N1 (Price List and Technical Specifications).</p>
<p>2.2. დანართი N1 (ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;</p>	<p>2.2. The Annex N1 (Price List and Technical Specifications) is the integral part of the Contract hereof;</p>
<p>2.3. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17/08/2015წ. N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული SMP230000209 ნებართვის (სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 25.01.2023 წლის N221 განკარგულების) შესაბამისად.</p>	<p>2.3. The Contract hereof is drawn in accordance to the subparagraph „A”, paragraph 3, article 10¹ of the Law of Georgia on State Procurement, subparagraph „A”, paragraph 1, article 3 of “The rules for defining simplified procurement criteria and conducting simplified procurement procedures” established on 17/08/2015 by the Order №13 of the Chairman of the State Procurement Agency and approval SMP230000209 of the LEPL “State Procurement Agency”(25.01.2023 decree N221 of the chairmen of LEPL “State Procurement Agency”).</p>
მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები	Article 3. Value of the Procurement Object and Terms and Conditions of Settlement
<p>3.1. საქონლის საერთო ღირებულება განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი N1 (ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია) მიხედვით და შეადგენს 25 480 (ოცდახუთი ათას ოთხას ოთხმოცი) აშშ დოლარს დღგ-ს გარეშე (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“). ხელშეკრულების ღირებულება ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.</p>	<p>3.1. The total value of the Goods is defined in accordance with the Annex N1 (Price list and technical specifications) hereunder and amounts to 25 480 (TwentyFive Thousand Four Hundred Eighty) USD excluding VAT (hereinafter referred to as the “Value of the Contract”). Value of the Contract includes all the expenses of the Supplier.</p>
<p>3.2. ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის გადახდა მოხდება საქონელზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და „მიმწოდებლის“ მიერ ინვოისის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.</p>	<p>3.2. Payment of 100% of the Value of the Contract shall be carried out within 10 (ten) banking days after the date of signing Delivery-Acceptance Act between the Parties and providing the invoice by the Supplier.</p>
<p>3.3. კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ყველა სახის გადასახადზე, მოსაკრებელსა და ვალდებულებაზე, რომელიც გამოძინარეობს აღნიშნული</p>	<p>3.3. All taxes, charges and duties legislation applicable arising from the CoNTRACT which may occurs outside Turkey shall be borne by the CUSTOMER. Stamp duty which occurs in Turkey</p>

<p>ხელშეკრულებიდან და წარმოიშვება თურქეთის ტერიტორიის მიღმა, პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს. თურქეთის ტერიტორიაზე გამოსაყენებელ სააქციზო მოსაკრებელზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს. ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ყველა სახის გადასახადსა და საფასურზე, მათ შორის WHT (შიდა ან გარე), სააქციზო მარკებზე პასუხისმგებლობის მატარებელია შემსყიდველი. SIEMENS A.S არ არის პასუხისმგებელი არანაირი სახის გადასახადზე.</p>	<p>shall be borne by CUSTOMER. All taxes and costs arising from the CONTRACT including WHT (inside or outside) stamp duty shall be borne by the CUSTOMER, SIEMENS A.Ş. is not responsible for any taxes.</p>
<p>3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით (საბანკო გადარიცხვის გზით).</p>	<p>3.4. Settlement shall be carried out in USD, by means of the non-cash settlement (via bank transfer).</p>
<p>მუხლი 4. მიწოდების ადგილი და ვადები</p>	<p>Article 4. Terms and place of supply</p>
<p>4.1. „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ საქონელი უნდა მიაწოდოს DAP საქართველო (Incoterms 2020) პირობის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა N2 (სს „სსე“-ს სათაო ოფისი).</p>	<p>4.1. The Supplier shall supply the Goods to the “Purchaser” according to DAP Georgia (Incoterms 2020) conditions to the following address: Georgia, Tbilisi. Baratashvili str. N2 (Head office of GSE).</p>
<p>4.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 3 (სამი) სამუშაო დღე, ხოლო ლიცენზიების მოქმედების ვადა განისაზღვრება ლიცენზიების აქტივაციაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 12 თვის განმავლობაში.</p>	<p>4.2. Delivery period for the Goods is 3 (three) working days from the date of signing the Contract. The licenses are valid for <u>12 months after signing delivery-acceptance act for activated licenses.</u></p>
<p>მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები</p>	<p>V. Rights and Liabilities of Parties</p>
<p>5.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.</p>	<p>5.1. The Purchaser undertakes the liability to pay the price of the actually delivered Goods to the Supplier in line with the terms and conditions of the Contract hereof.</p>
<p>5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლისგან მოითხოვოს სრული ინფორმაცია საქონლის შესახებ.</p>	<p>5.2. The Purchaser is entitled to demand complete information about the Goods from the Supplier</p>
<p>მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა</p>	<p>Article 6. Responsibilities of the Parties</p>
<p>6.1. გარდა ფორსმაჟორული მოვლენებისა და მიზეზებისა, რომელიც არ არის გამოწვეული „მიმწოდებლის“ მიზეზით, რომელიც ხელს უშლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი დათქმულ ვადაში, იგი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყოველკვირეული დაგვიანებისთვის ჯარიმა დაგვიანებული საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 5%-სა. მხარეები თანხმდებიან, რომ ჯარიმების თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს დამატებით მიღებული ზარალის ანაზღაურებისგან, ამ ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.</p>	<p>6.1. Except for force majeure events and reasons not attributable to SIEMENS which prevent the performance of the work, if Supplier fails to deliver to the purchaser the undertaken work within the promised period, it shall pay to the Purchaser a penalty for each week of delay in an amount of 0.5% of the price of the product whose delivery is delayed. The sum of all the penalties to be imposed under this offer, including delay penalties, shall be limited to 5% (five percent) of the contract price. Parties hereby acknowledge that payment of the sum of penalties does not relieve the party from paying any additional damages incurred, based on this Contract and governing law.</p>
<p>6.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 5%-სა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.</p>	<p>6.2. In case of delay (delayed) of payment by the Purchaser the Supplier may request the Purchaser payment 0,1% of the unpaid amount for each day of delay, but no more than 5% of the total value of the contract, till the termination date of this Contract or fully payment day, whichever period occurs earlier.</p>
<p>6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების</p>	<p>6.3 The “Supplier” is obliged to pay the penalty to the Purchaser,</p>

<p>შესრულებლობისთვის გადაიხადოს პირგასამტეხლო მაქსიმუმ ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით;</p>	<p>in amount of 3% of the Agreement value as maximum penalty in case of non performance of the Agreement;</p>
<p>6.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება ანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას. ზარალის სრული კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მთლიან ღირებულებას.</p>	<p>6.4 In case of unilateral non-implementation of the liabilities imposed hereunder, the parties are liable to compensate the caused damage in full according to the rule set by the applicable legislation of Georgia. Compensation of the damage or its demand does not stop accrual of the penalties stipulated by the article hereof. Maximum compensation for damages should not be more than the total amount of the present Contract.</p>
<p>6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შემციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და მიწოდებელზე დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა მიწოდებლისათვის გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს მიწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.</p>	<p>6.5 The Purchaser is authorized to deduct (to reduce payment by) accrued penalties and fines envisaged by this article and charged to the Supplier during payment of price of actually delivered goods. This deduction cannot be mentioned as a basis of penalty from the Supplier to the Purchaser according to the paragraph 6.2 of this Contract.</p>
<p>მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</p>	<p>Article 7. Control over Implementation of the Contract</p>
<p>7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რელეური დაცვისა და ავტომატიკის სამსახურის უფროსი - მიხეილ სართანია.</p>	<p>7.1. The control over implementation of the Contract by the Purchaser is carried out by the Head of Relay Protection and Automatic Service unit of “Georgian State Electricsystem” JSC – Mikheil Sartania.</p>
<p>7.2. კონტროლი გულისხმობს საქონლის შედარებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან. კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების პირობების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს პროგრამის განახლების შესაძლებლობის შემოწმებას;</p>	<p>7.2. The control is carried out through compliance of the quality and delivery terms of the Goods, which means checking the possibility of updating the program;</p>
<p>7.3. „მიწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.</p>	<p>7.3. The Supplier shall be obliged to correct all the defects or faults revealed after such control at its own expense.</p>
<p>მუხლი 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი</p>	<p>Article 8. Delivery-Acceptance Procedure of Purchase Object</p>
<p>8.1. მიწოდებელსა და შემსყიდველს შორის საქონლის მიღება ჩაბარების-აქტი ფორმდება სრულად მიწოდებულ საქონელზე.</p>	<p>8.1. The delivery-acceptance certificate between the Supplier and the Purchaser shall be concluded on the fully delivered Goods..</p>
<p>8.2. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების 7.1 მუხლით განსაზღვრული პირი ამოწმებს საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე.</p>	<p>8.2. The person defined by the Purchaser according to the paragraph 7.1 of this Contract hereunder shall check the compliance of the delivered Goods with the terms and conditions of this Contract. In case of absence of defect, the delivery-acceptance act shall be concluded between the Parties on the actually delivered Goods.</p>
<p>8.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი არის სს „სსე“-ს დირექტორთა საბჭოს შესაბამისი წევრი ან/და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი.</p>	<p>8.3. Person defined to sign the Delivery–Acceptance Act/Certificate by the Purchaser is the relevant Member of Director Board of “GSE” JSC and/or the head of the relevant department.</p>
<p>8.4. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.</p>	<p>8.4. The Goods shall be considered as accepted upon signing of the delivery-acceptance certificate by and between the parties.</p>
<p>მუხლი 9. ფორს-მაჟორი</p>	<p>Article 9. Force-Majeure</p>
<p>9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული,</p>	<p>9.1. Suspension of the terms and conditions of the Contract or any of them due to incurring of the force-majeure circumstances shall not be considered as non-implementation or violation of</p>

<p>როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს პირგასამტეხლოს გამოყენებას.</p>	<p>the terms and conditions of the Contract hereof and will not cause imposing of the penalty sanctions.</p>
<p>9.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაუღებავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ტერორისტული აქტებით, ეპიდემიით, კარანტინით, და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს-მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.</p>	<p>9.2. For the purposes of the article hereof, “Force-Majeure” means the circumstances insuperable for the parties and beyond their control or in dependent from the Parties, which are not related to their errors and negligence and which bear the preliminarily unforeseen character. Such circumstances might be caused due to war or natural calamities, acts of terrorism, epidemic, quarantine, imposing of embargo, etc. For sufficient certificate confirming existence of force-majeure, the Parties agree upon to consider the appropriate certificate issued by the Chamber of Commerce and Industry of the relevant country.</p>
<p>9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. რომელიმე მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ფორსმაჟორული მოვლენების გამო, არ შეიძლება იქნეს განმარტებული, როგორც ამ მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა. თუ ფორსმაჟორული მოვლენის გამო ვალდებულების შეუსრულებლობა გრძელდება ოთხმოცდაათი (90) დღის ან მეტი ხნის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება დღის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე 10 (ათი) დღის განმავლობაში. ფორსმაჟორული მოვლენით გამოწვეული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, საქონლის მიწოდების დრო შეიძლება გახანგრძლივდეს გონივრული ვადით. ეს ხელშეკრულება ასევე უნდა ასახავდეს შემსყიდველი მიერ გადახდილ გონივრულ დამატებით ხარჯებს იმ ხარჯების გამო, რაც მიმწოდებელმა გაწია ფორსმაჟორის მოვლენის გამო. თუ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია, ეს ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება.</p>	<p>9.3. In case of incurring of force-majeure circumstances, the contractual party, for which it becomes impossible to implement the undertaken liabilities, shall immediately send to the other party the written notification regarding such circumstances or their reasons. If the party sending the notification does not receive the written response from the other party, such party at its discretion, according to the appropriateness and the own capabilities continues to implement the liabilities undertaken due to the Contract hereof. Failure by any of the parties to perform its obligations because of force majeure events shall not be interpreted as default by said party. If failure to perform the obligation because of a force majeure event lasts ninety (90) days or longer, any of the parties may terminate the CONTRACT or the order upon a ten (10) days' written notice. In case of a delay in the performance of the works caused by a Force Majeure event, the delivery time or Work completion time may be, upon parties written agreement, subject to extention by a reasonable period required for eliminating the consequences of such a delay. This Contract shall also reflect any reasonable additional costs payable by Purchaser due to the costs incurred by the Provider due to Force Majeure event. If the agreement can not be reached than this contract is deemed to be terminated.</p>
<p>მუხლი 10. ურთიერთობა მხარეებს შორის</p>	<p>Article 10. Relations between the Parties</p>
<p>10.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან ელექტრონული კომუნიკაციის გზით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებული ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.</p>	<p>10.1. Any official relations between the contractual Parties shall be implemented in writing. The written notification, which the Party sends to the other in accordance with the Contract, shall be sent in form of the mail notification or email correspondence signed by the person authorized for management and/or representation or by people authorized in terms of the Contract as a contact persons (for email correspondence). With the purpose to set the immediate and efficient contact, it is possible to send the notifications via e-mail (scanned version of the letter) or fax, with the conditions to deliver the original lately.</p>

<p>10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.</p>	<p>10.2. The notification enters into force on the day of its receipt by the addressee or the date set for validation of the notification, whichever incurs later.</p>
<p>10.3. მიმწოდებლის მაქსიმალური პასუხისმგებლობა შემსყიდველთან აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შემოიფარგლება ხელშეკრულების ღირებულების 100%-მდე ზიანის ანაზღაურებით. აღნიშნული შეზღუდვა ასევე ვრცელდება მიმწოდებლის თანამშრომლებზე, ქვეკონტრაქტორებზე, აგენტებზე. ნებისმიერი მესამე მხარის წინააღმდეგ პრეტენზიები ფიზიკური დაზიანების, გარდაცვალების ან ქონების დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მიმწოდებელს, რადგან მას გააჩნია იურიდიული თავდაცვის განხორციელების განსაკუთრებული უფლება. შემსყიდველს პირდაპირ ეკრძალება მესამე პირის პრეტენზიის აღიარება ან გადაწყვეტა.</p>	<p>10.3 The maximum liability of SIEMENS to the GSE under or in connection with the Contract shall be limited up to the 100% of the Contract Value. This limitation of liability shall also apply for SIEMENS' employees, subcontractors, agents, licensors or any of their employees. Against any third party claims for bodily injury, death or property damage in relation with this Offer, SIEMENS shall be immediately informed and shall have the exclusive right to conduct the legal defense. CUSTOMER is expressly prohibited from acknowledging or settling the third party's claim.</p>
<p>მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა</p>	<p>Article 11. Modification of the Terms and Conditions of the Contract and/or early Termination</p>
<p>11.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p>	<p>11.1. Any modification and/or amendment to the Contract hereof might be carried out on the basis of the written agreement by and between the Parties.</p>
<p>11.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;</p>	<p>11.2. Modification of the terms and conditions of the procurement contract is inadmissible, if as the result of such modifications the total value of the Contract increases or the terms and conditions of the Contract for the procuring entity are deteriorated, except for the cases stipulated by the Article 398 of the Civil Code of Georgia. Besides, the total value of the Contract shall not increase by more than 10%.</p>
<p>11.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს: ა) მხარეთა შეთანხმებით; ბ) ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული დარღვევის აღმოჩენიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს.</p>	<p>11.3. The Contract might be terminated preliminarily in the following cases: a) Upon agreement of the Parties; b) With the statement of one of the parties in case of substantial violation of the terms and conditions of the Contract hereof by the other party which does not remedy the violation within 60 (Sixty) calendar days after being noticed.</p>
<p>11.4. შემსყიდველს შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს: ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში; გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ყალბია, რაც წარმოადგენს შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს; დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p>11.4. The Purchaser may terminate the Contract preliminarily in the following cases: a) If it becomes known to the Purchaser that due to the reasons beyond the control of the latter, the Purchaser fails to provide implementation of the liabilities imposed hereof; b) In case of bankruptcy of the Supplier; c) If it becomes known to the Purchaser that the information submitted by the Supplier is false which is the basis for losing of confidence of the Purchaser; d) In other cases as stipulated by the applicable legislation of Georgia.</p>
<p>11.5. ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.</p>	<p>11.5. In the cases indicated in the paragraph 11.4 hereof, the Purchaser is liable to compensate the value of the actually rendered service to the Supplier.</p>
<p>მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება</p>	<p>Article 12. Interfering to Implementation of the Contract</p>
<p>12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში</p>	<p>12.1. If during the process of implementation of the Contract the</p>

<p>მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებარე მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.</p>	<p>Parties face any impeding circumstances, due to which implementation of the terms and conditions of the Contract is interfered, such party shall immediately send to the other party the written notification on fact of interfering, its possible duration and the reasons. The party receiving the notification shall communicate own decision made regarding the indicated circumstances to the other party as soon as possible</p>
<p>12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.</p>	<p>12.2. In the event if due to interfering to implementation of the terms and conditions of the Contract the Parties agree upon to prolong the terms for implementation of the terms and conditions of the Contract, such decision shall be concluded by means of introducing of the modifications into the Contract.</p>
<p>მუხლი 13. დავის განხილვა</p>	<p>Article 13. Settlement of Dispute</p>
<p>13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.</p>	<p>13.1. The contractual Parties hereby agree upon to refer to all the efforts in order to settle all the disputes and the discrepancies incurred by and between the parties regarding the Contract or the issues related to the Contract via amicable negotiations.</p>
<p>13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინდეს წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.</p>	<p>13.2. If in the term of 30 (thirty) days after commencement of such negotiations the Parties fail to agree upon the disputable issues, any party is entitled to solve the dispute by applying to the Georgian court according to the set rule.</p>
<p>მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</p>	<p>Article 14. Validity of the Contract</p>
<p>ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.</p>	<p>The Contract enters into force upon its signing by the Parties and is valid until performance of the terms and the conditions foreseen by the Contract, nevertheless no later than March 31st, 2024.</p>
<p>მუხლი 15. დამატებითი პირობები</p>	<p>Article 15. Miscellaneous</p>
<p>15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვარიანტს.</p>	<p>15.1. The Contract is drafted in Georgian and English language in two copies and each of them bears equal legal force. In case of discrepancy between Georgian and English wording, the text written in the Georgian language shall prevail.</p>
<p>15.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მიმოწერის წარმოება განხორციელდება ინგლისურ ენაზე.</p>	<p>15.2. Correspondence related to the fulfillment of Present Contract shall be carried out in English language.</p>
<p>15.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.</p>	<p>15.3. In the cases not stipulated hereunder, the Parties shall act in accordance with the applicable legislation of Georgia.</p>
<p>15.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი უფლებამონაცვლეებისთვის. დაუშვებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა მესამე მხარისთვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.</p>	<p>15.4. The terms and conditions stipulated by the Contract hereof are binding and obligatory for implementation by the Parties and their legal successors and assignees. It is inadmissible to assign the liabilities foreseen by the Contract hereof to the other party without preliminary written consent by the other party.</p>
<p>მუხლი 16. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა</p>	<p>16. Confidentiality and non-disclosure</p>
<p>მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა</p>	<p>The Parties realize that the JSC "Georgian State ElectroSystem", has implemented the Information Security Management System according to the ISO/IEC 27001 and therefore, in further relationships "Confidentiality and non-disclosure conditions of the JSC "Georgian State ElectroSystem", which are published on the website www.gse.com.ge (ABOUT US/Procurement/Terms</p>

<p>და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები). უპირატესობა ენიჭება კონფიდენციალურობის და გაუმჟღავნებლობის პირობების ინგლისურ ვერსიას.</p>	<p>and conditions of contract), should be taken into account. The English version of the Confidentiality and non-disclosure conditions shall prevail.</p>
<p>17.ექსპორტის კონტროლის რეგულაციების დაცვა</p> <p>მიმწოდებელი ვალდებული არ იქნება შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შესრულებას ხელს უშლის ეროვნული ან საერთაშორისო საგარეო ვაჭრობის ან საბაჟოს მოთხოვნებით ან სხვა სანქციებით წარმოქმნილი დაბრკოლებები.</p> <p>17.1 იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მესამე პირს გადაცემს მიმწოდებლის მიერ მოწოდებულ აპარატურულ და/ან პროგრამულ უზრუნველყოფას და /ან ტექნოლოგიას (მათ შორის შესაბამის დოკუმენტაციას) („საქონელი“) ან მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს და მომსახურებებს (მათ შორის ყველა სახის ტექნიკურ მხარდაჭერას) („მომსახურებები“), მყიდველმა უნდა შეასრულოს ეროვნული და საერთაშორისო (რე-) ექსპორტის კონტროლის ყველა მოქმედი რეგულაცია. საქონლის და/ან მომსახურებების გადაცემის შემთხვევაში, მყიდველმა უნდა შეასრულოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ევროკავშირის (“EU”) და ამერიკის შეერთებული შტატების (“USA”). (რე-) ექსპორტის კონტროლის რეგულაციები.</p> <p>17.2 მესამე პირისთვის საქონლის და/ან მომსახურებების გადაცემამდე, მყიდველმა კონკრეტულად უნდა შეამოწმოს და გასცეს გარანტია, შესაბამისი ზომებით, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> • არ დაირღვევა ევროკავშირის, აშშ-ს და/ან გაერთიანებული ერების მიერ დაწესებული ემბარგო საქონლის ან მომსახურებების გადაცემით, საქონლის ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტების გაფორმებით ან სხვა ეკონომიკური რესურსების წარდგენით საქონელთან ან მომსახურებებთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნული ემბარგოების გვერდის ავლის ნებისმიერი აკრძალვის გათვალისწინებით (მაგალითად, არამართლზომიერი გადახრა); • აღნიშნული საქონლის და მომსახურებების გამოყენება არ არის განსაზღვრული შეიარაღებულ ძალებთან, ბირთვულ 	<p>17. Compliance with Export Control Regulations</p> <p>Supplier shall not be obligated to fulfill this agreement if such fulfillment is prevented by any impediments arising out of national or international foreign trade or customs requirements or any embargoes or other sanctions.</p> <p>17.1 If Purchaser transfers to a third party hardware and/or software and/or technology (including corresponding documentation,) delivered by Supplier (“Goods”), or works and services (including all kinds of technical support) performed by Supplier (“Services”), Purchaser shall comply with all applicable national and international (re-) export control regulations. In any event of such transfer of Goods and/or Services, Purchaser shall comply with the (re-) export control regulations of the Federal Republic of Germany, of the European Union (“EU”) and of the United States of America (“USA”).</p> <p>17.2 Prior to any transfer of Goods and/or Services to a third party, Purchaser shall in particular check and guarantee by appropriate measures that</p> <ul style="list-style-type: none"> • there will be no infringement of an embargo imposed by the EU, USA and/or by the United Nations by such transfer, by brokering of contracts concerning Goods or Services or by provision of other economic resources in connection with Goods or Services also taking into account any prohibitions to circumvent these embargos (e.g., by undue diversion); • such Goods and Services are not intended for use in connection with armaments, nuclear technology or weapons, if and to the extent such use is subject to prohibition or authorization, unless required authorization has been obtained; • the regulations of all applicable sanctioned party lists of the EU and USA concerning the trading with entities, persons and organizations listed therein are considered; • Goods and Services within the scope of the respective Annexes to EU Regulations Nos. 833/2014 and 765/2006 as well as of Annex I to EU Regulation

ტექნოლოგიასთან ან იარაღთან დაკავშირებით, იმ ფარგლებში და იმ პირობით, რომ ამ სახით გამოყენება ექვემდებარება აკრძალვას ან ავტორიზაციას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ავტორიზაცია მოპოვებულია.

- გათვალისწინებულია ევროკავშირის და აშშ-ს ყველა მოქმედი სანქციონირებული პირების სიის („შავი სია“) რეგულაციები ასეთ ჩამონათვალში მითითებულ ორგანოებთან, პირებთან და ორგანიზაციებთან ვაჭრობის შესახებ;
- ევროკავშირის Nos. 833/2014 და 765/2006 რეგულაციების დანართების, ასევე ევროკავშირის No. 2021/821 რეგულაციის I დანართის ფარგლებში (მათი მიმდინარე ვერსიები, შესაბამისად), გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნებადართული იქნება ევროკავშირის კანონით, არ განხორციელდება საქონლის და მომსახურებების (i) ექსპორტი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგალითად, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU) ქვეყნები), რუსეთში ან ბელორუსიაში, ან (ii) ხელახლა მიყიდვა გარეშე ბიზნეს პარტნიორისთვის, რომელიც არ იღებს წინასწარ ვალდებულებას, რომ არ მოახდენს რუსეთში ან ბელორუსიაში აღნიშნული საქონლის და მომსახურებების ექსპორტირებას.

17.3 მომწოდებლის მოთხოვნით, მყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მომწოდებელს ყველა ინფორმაცია აღნიშნული საქონლის და მომსახურების კონკრეტული საბოლოო მყიდველის, კონკრეტული დანიშნულების ადგილის და კონკრეტული მიზნობრივი გამოყენების, ასევე ექსპორტის კონტროლის ნებისმიერი არსებული შეზღუდვების შესახებ.

17.4 მყიდველმა მომწოდებელი უნდა დაიცვას და გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისგან ნებისმიერ მოთხოვნასთან, წარმოებასთან, საქმესთან, ჯარიმასთან, ზარალთან, ხარჯთან და ზიანთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშობა (რე-)ექსპორტის კონტროლის, სანქციების ან ემბარგოს რეგულაციების შეუსრულებლობის შედეგად (ან დაკავშირებით) მყიდველის და/ან მყიდველის გარეშე ბიზნეს პარტნიორის მიერ, რომელიც ახდენს საქონლის და მომსახურებების რე-ექსპორტს ზემოთ 17.2 პუნქტში მითითებული ემბარგოების ან

No. 2021/821 (in their current versions, respectively), will not, unless permitted by EU law, be (i) exported, directly or indirectly (e.g., via Eurasian Economic Union (EAEU) countries), to Russia or Belarus, or (ii) resold to any third party business partner that does not take a prior commitment not to export such Goods and Services to Russia or Belarus.

17.3 Upon request by Supplier, Purchaser shall promptly provide Supplier with all information pertaining to the particular end Purchaser, the particular destination and the particular intended use of Goods and Services, as well as any export control restrictions existing.

17.4 Purchaser shall indemnify and hold harmless Supplier from and against any claim, proceeding, action, fine, loss, cost and damages arising out of or relating to any noncompliance with (re-)export control, sanctions or embargo regulations by Purchaser and/or Purchaser's third party business partner re-exporting Goods and Services in violation of embargoes or sanctions referred to in 17.2 above, and Purchaser shall compensate Supplier for all losses and expenses resulting thereof.

<p>სანქციების დარღვევით და მყიდველმა მომწოდებელს უნდა აუნაზღაუროს აღნიშნულით გამოწვეული ყველა ზარალი და ხარჯი.</p>	
<p>მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები</p>	<p>Article 18. Requisites of the Parties</p>
<p>შემსყიდველი: სახელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მისამართი: ბარათაშვილის ქ. N2, 0105, თბილისი, საქართველო საიდ. კოდი: 204995176 Account With Institution ს/ს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22 საქართველო, თბილისი ბანკის ტელ: +(995 32) 227 27 27 ბენეფიციარი: სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა ანგარიშის №GE02TB0600000102467636 შუამავალი ბანკი: CITIBANK N.A. New York, USA SWIFT: CITIUS33</p> <p>„მიმწოდებელი“ სახელი: „Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“ მის: Esentepe Neighborhood Yakacık Street No:111 Kartal/Turkey Identification code: 700037454 სბანკო რეკვიზიტები: BANK :T.GARANTİ BBVA BANKASI A.Ş. BRANCH : Kozyatağı Corporate SWIFT: TGBATRISXXX CURRENCY: USD ACCOUNT NO: 9097924 IBAN: TR79 0006 2000 3830 0009 0979 24 Bank tel: +(90 216) 687 27 00</p>	<p>The Purchaser: Name: JSC “Georgian State Electrosystem” Address: 2 Baratashvili Str., 0105, Tbilisi, Georgia Identification code: 204995176 Account With Institution JSC “TBC BANK”, SWIFT: TBCBGE22 Georgia, Tbilisi Bank tel: +(995 32) 227 27 27 Beneficiary: GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM JSC IBAN: GE02TB0600000102467636 Intermediary Bank CITIBANK N.A. New York, USA SWIFT: CITIUS33</p> <p>The Supplier: Name: „Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“ Address: Esentepe Neighborhood Yakacık Street No:111 Kartal/Turkey Identification code: 700037454 Bank requisites: BANK :T.GARANTİ BBVA BANKASI A.Ş. BRANCH : Kozyatağı Corporate SWIFT: TGBATRISXXX CURRENCY: USD ACCOUNT NO: 9097924 IBAN: TR79 0006 2000 3830 0009 0979 24 Bank tel: +(90216) 687 27 00</p>
<p>მხარეთა ხელმოწერა:</p>	<p>Signatures by the Parties:</p>

„შემსყიდველი“ / The Purchaser:

„მიმწოდებელი“ / The Supplier:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“/
 “Georgian State Electrosystem” JSC

„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“

დირექტორთა საბჭოს წევრი / Member of Director Board
 გიორგი გელაშვილი/Giorgi Gelashvili

Commercial Sales Specialist / Merve Erenses Çetin

Technical Sales Manager / Gözde Adalet Topuz

ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია / Price List and Technical Specifications

№	დასახელება. Description	რაოდენობა QTY	ღირებულება დღგ-ს გარეშე (აშშ დოლარი). Price (USD) VAT Excl.
1	Maintenance of Three Licenses - PSS@CAPE Pro-Standard license	3	25 480
2	Maintenance of Three Licenses - PSS@CAPE Short Circuit Reduction license	3	
3	Maintenance of One Licenses - PSS@CAPE Pro-Ultimate license	1	
	მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე Total Price VAT Excl.		25 480 აშშ დოლარი/USD

ტექნიკური სპეციფიკაცია / Technical Specifications:

- **PSS@CAPE Pro-Standard (3 ლიცენზია)**

ლიცენზიის აღწერა:

კომპიუტერული პროგრამა PSS@CAPE-ის PSS@CAPE Pro-Standard ლიცენზია შეიცავს შემდეგ მოდულებს:

მონაცემთა ბაზის რედაქტორი / Database Editor
მოკლედ შერთვის დენის ანგარიში / Short Circuit
გრაფიკული შეთანხმება / Coordination Graphics
ცალხაზოვანი სქემა / One-Line Diagram
გადამცემი ხაზის დაპარამეტრება / Line Constants
რელეების დანაყენების შერჩევა / Relay Setting
სისტემის სიმულატორი / System Simulator
რელეების შემოწმება / Relay Checking
დოკუმენტაციის წარმოება / Order Production

- **Short Circuit Reduction (3 ლიცენზია)**

ლიცენზიის აღწერა:

კომპიუტერული პროგრამა PSS@CAPE-ის Short Circuit Reduction ლიცენზია შეიცავს შემდეგ მოდულს:

ექვივალენტობა / Short Circuit Reduction

- **PSS@CAPE Pro-Ultimate (1 license)**

ლიცენზიის აღწერა:

კომპიუტერული პროგრამა PSS@CAPE-ის PSS@CAPE Pro-Ultimate ლიცენზია შეიცავს შემდეგ მოდულებს:

მონაცემთა ბაზის რედაქტორი / Database Editor
მოკლედ შერთვის დენის ანგარიში / Short Circuit
გრაფიკული შეთანხმება / Coordination Graphics
ცალხაზოვანი სქემა / One-Line Diagram
გადამცემი ხაზის დაპარამეტრება / Line Constants
რელეების დანაყენების შერჩევა / Relay Setting

სისტემის სიმულატორი / System Simulator
რელეების შემოწმება / Relay Checking
დოკუმენტაციის წარმოება / Order Production
ექვივალენტირება / Short Circuit Reduction
ამომრთველის გამორთვის შესაძლებლობის შემოწმება / Breaker Duty
დანაყენების გადატანის ჩანართი / Settings Transfer Utilities
სიმძლავრის ნაკადგანაწილება / Power Flow

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კომპიუტერული პროგრამა PSS@CAPE-ის **PSS@CAPE Pro-Standard (3 ლიცენზია)**, **Short Circuit Reduction (3 ლიცენზია)** და **PSS@CAPE Pro-Ultimate (1 ლიცენზია)** ლიცენზიების, ერთწლიანი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება.

კომპიუტერული პროგრამა PSS@CAPE-ის ლიცენზიების აქტივაციის კოდის მოქმედების საგარანტიო ვადა უნდა შეადგინოს 12 თვე, რომელიც აითვლება აქტივაციის კოდის გადმოცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

მიმწოდებელმა გარანტიის პერიოდში უნდა უზრუნველყოს კომპიუტერული პროგრამა PSS@CAPE-ის ტექნიკური მხარდაჭერა, შემსყიდველის მხრიდან ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ წერილებზე მოახდინოს რეაგირება წერილის მიღებიდან არაუგვიანეს შემდგომი 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მიმწოდებელი გარანტიის პერიოდში საკუთარი ხარჯით გაასწორებს კომპიუტერული პროგრამა PSS@CAPE-ის ფუნქციონირებისას წარმოქმნილ ნებისმიერ დეფექტს ან ხარვეზს, შემსყიდველის მხრიდან ელექტრონულ ფოსტაზე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ეს შეუძლებელია, მიმწოდებელმა პროგრამის ძირეული განახლება უნდა განხორციელოს არაუგვიანეს შემდგომი 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

- **PSS@CAPE Pro-Standard (3 license)**

License Description:

PSS@CAPE Pro-Standard license of the PSS@CAPE software includes the following modules:

Database Editor
Short Circuit
Coordination Graphics
One-Line Diagram
Line Constants
Relay Setting
System Simulator
Relay Checking
Order Production

- **Short Circuit Reduction (3 license)**

License Description:

Short Circuit Reduction License of the PSS@CAPE software contain the following module:

Short Circuit Reduction

- **PSS@CAPE Pro-Ultimate (1 license)**

License Description:

PSS@CAPE Pro-Ultimate (Cape Package) license of the PSS@CAPE software includes the following modules:

Database Editor
Short Circuit
Coordination Graphics
One-Line Diagram
Line Constants
Relay Setting
System Simulator
Relay Checking
Order Production
Short Circuit Reduction
Breaker Duty
Settings Transfer Utilities
Power Flow

The supplier shall provide of the one-year technical support service for the **PSS@CAPE Pro-Standard (3 license)**, **Short Circuit Reduction (3 license)** and **PSS@CAPE Pro-Ultimate (1 license)** software.

Activation code guarantee period for the PSS@CAPE software must be defined to 12 months, which is calculated from the day of signing of the acceptance/delivery report between the parties.

During the warranty period, the supplier must provide the technical support to PSS@CAPE software, responds to e-mails received from the buyer within the next 2 (two) working days after their receiving.

During the warranty period supplier shall fix any defects or disorders occurred in the performance of PSS@CAPE software on its own expenses within 5 (five) calendar days upon receiving the written request on the e-mail from the buyer. If it is not possible, the supplier should accomplish the basic updating of the software no later than 10 (ten) calendar days.

„შემსყიდველი“ / The Purchaser:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ /
“Georgian State Electrosystem” JSC

დირექტორთა საბჭოს წევრი / Member of Director Board
გიორგი გელაშვილი / Giorgi Gelashvili

„მიმწოდებელი“ / The Supplier:

„ Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“

Commercial Sales Specialist / Merve Erenses Çetin

Technical Sales Manager / / Gözde Adalet Topuz
